**საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

**ეთიკის კომისია**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე**

**პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ირაკლი კორძახია – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** მ. ც.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 26.04.2018

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 053/18

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ დ. მ.-ს მიმართ /სიითი №/

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ დ. მ.-სათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 26 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ც.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, სამოქალაქო საქმის წარმოებაში დახმარების მიზნით დაუკავშირდა ადვოკატ დ. მ.-ს, რომელიც არის მისი ბიძაშვილის - ნ. ც.-ს მეუღლე. ადვოკატმა დახმარება შესთავაზა. შესაბამისად, საჩივრის ავტორმა ადვოკატს გაუფორმა მინდობილობა, გააცნო საქმის დეტალები, გადასცა საქმის მასალები და შეუთანხმდა ჰონორარზე.

1.3 მ. ც.-ს საჩივარში აღნიშნულია, რომ მან ადვოკატს გასამრჯელოს სახით 100 (ასი) ლარი გადასცა, ხოლო შემდეგ ფარავდა ადვოკატის მგზავრობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. 2018 წლის 17 დეკემბერს, განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ჰონორარის სახით ადვოკატისთვის არაფერი გადაუხდია, თუმცა აძლევდა გარკვეულ თანხას ხარჯებისთვის, რასაც ურიცხავდა ადოკატს ანგარიშზე, ამასთან ადვოკატს შეჰპირდა საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში 700 ლარის გადახდას, რაზედაც ადვოკატმა განუმარტა, რომ თანხის მიცემა არ იყო საჭირო და საქმის კარგად დასრულების შემთხვევაში რესტორანში შეეძლო მისი წაყვანა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, თავდაპირველად, ადვოკატმა იმედი მისცა მას და განუმარტა, რომ მოცემულ საქმეს მის სასიკეთოდ მოაგვარებდა. თუმცა მას შემდეგ, რაც დ. მ. მ. ც.-ს გარეშე შეხვდა მოწინააღმდეგე მხარეს, რაც საჩივრის ავტორისთვისაც ცნობილი იყო, ადვოკატმა განუმარტა მას, რომ საქმეში არსებული ვითარება მის წინააღმდეგ მეტყველებდა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატის აზრის გათვალისწინებით ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელმაც უარყოფითი სამართლებრივი შედეგი იქონია მასზე. კერძოდ, საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარემ, გ. ჩ.-მ მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად მ. ც. წაიყვანა თბილისში მდებარე სანოტარო ბიუროში. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ვინაიდან ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სურვილი არ ჰქონდა, ამავე ბიუროში გ. ჩ.-ს დახმარებით მივიდა მ. ც.-ს ადვოკატი, დ. მ.. აღსანიშნავია, რომ ადვოკატი მოცემულ ხელშეკრულებას იცნობდა, ვინაიდან მ. ც.-მ ის რამოდენიმე დღით ადრე მიაწოდა, ხელშეკრულების გაცნობის, მასში დამატებებისა თუ ცვლილებების შეტანის მიზნით, თუმცა ადვოკატს მასში არანაირი ცვლილება არ შეუტანია. განხილვის სხდომაზე მ. ც.-მ განმარტა, რომ ნოტარიუსმა ორჯერ წაუკითხა მას ხელშეკრულების შინაარსი, თუმცა ხელშეკრულებას არ მოაწერა ხელი. ამის შემდეგ, ადვოკატმა დ. მ.-მ, მის თანმხლებ პიროვნებასთან, მ. შ.-სთან ერთად მ. ც. გაიყვანა სანოტარო ბიუროს აივანზე და აუხსნა, რომ ცუდ მდგომარეობაში იყო და იძულებული იყო ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა. მ. ც.-ს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ხვდებოდა, ხელშეკრულებაზე ხელი არ უნდა მოეწერა, ადვოკატის მიმართ ნდობისა და მისი რჩევის გათვალისწინებით ხელი მაინც მოაწერა. აღნიშნული მოქმედებით, მ. ც.-მ თანხის გადახდის ვალდებულება იკისრა, რაც შემდგომ ვერ შეასრულა. ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძვლით, გ. ჩ.-მ მ. ც.-ს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა სასამართლოში, სადაც დ. მ. წარმოადგენდა მ. ც.-ს ინტერესებს. აღნიშნულ პროცესზე სარჩელი სრულად იქნა დაკმაყოფილებული.

1.6 მ. ც.-ს განმარტებით, ადვოკატმა არ აუხსნა მას, რომ სოციალურად დაუცველი სტატუსის არსებობის შემთხვევაში სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ მოუწევდა. საჩივრის ავტორმა ასევე აღნიშნა, რომ მას ამ სტატუსის შესახებ ინფორმაცია არ მიუწოდებია ადვოკატისთვის, თუმცა ადვოკატი იყო ვალდებული ეკითხა სოციალურად დაუცველის სტატუსის არსებობაზე.

1.7 საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტების წაკითხვამდე, ადვოკატის სპეციალიზაციის შესახებ არაფერი არ იცოდა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ განახორციელა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სრულყოფილად. მან არაფერი იღონა მისი ინტერესების დასაცავად. ამასთან, საქმის წარმოება შეწყვიტა თავად, ხოლო მ. ც.-ს მოთხოვნა, გაეგრძელებინა საქმე ზემდგომ ინსტანციებში, მან უგულებელყო. მ. ც.-ს განმარტებით, მას შემდეგ რაც ადვოკატთან ურთიერთობა დაეძაბა, ადვოკატი მას ტელეფონით ემუქრებოდა და აშინებდა შემდეგი სიტყვებით: „გნახავენ კარგი ბიჭები". საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მას ასევე აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და აგინებდა დედის მისამართით.

**2. მოწმე მინდია ქარელიძის განმარტება:**

2018 წლის 21 ივნისს, საპროცესო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული იქნა მინდია ქარელიძე, რომელმაც განმარტა, რომ მ. ც.-სთან ერთად მუშაობს სამშენებლო კომპანიაში, სადაც არის მუდმივად ხმაური. მ. ც. ტელეფონზე საუბრის დროს ტელეფონს რთავს ხმამაღალ რეჟიმზე. მოწმის განმარტებით, ერთ-ერთი სატელეფონო საუბრის დროს ადვოკატი დ. მ. მ. ც.-ს დაემუქრა შემდეგი სიტყვებით: „გნახავენ კარგი ბიჭები". მინდია ქარელიძემ ვერ გაიხსენა აღნიშნული სატელეფონო საუბარი როდის განხორციელდა.

**3. ადვოკატის პოზიცია:**

3.1 ადვოკატმა, დ. მ.-მ 2018 წლის 14 მაისს ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა, სადაც აღნიშნა რომ მ. ც.-ს საქმეში მისი მეუღლის თხოვნით ჩაერთო. ადვოკატის განმარტებით, მ. ც.-ს საქმის გაცნობისთანავე განუმარტა, რომ ის იმყოფებოდა იურიდიულად უიმედო მდგომარეობაში. ამასთანავე, ადვოკატმა მხარეს შესთავაზა გარკვეული სტრატეგია და განუმარტა, რომ მ. ც.-ს მიერ გ. ჩ.-სთან ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისა და საქმის სასამართლოში გაგრძელების შემთხვევაში, წამგებიან სიტუაციაში აღმოჩნდებოდა.

3.2 განხილვის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ მ. ც.-ს ისნის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდა, სადაც მან ადვოკატს გააცნო საქმის გარემოებები. თავდაპირველად, ადვოკატმა იფიქრა რომ საქმე მის სასარგებლოდ მეტყველებდა, თუმცა მას შემდეგ, რაც გაერკვა საქმის ვითარებაში, საჩივრის ავტორს ურჩია მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკება. მ. ც.-ს არ ჰქონდა მოწინააღმდეგე მხარესთან შეხვედრის სურვილი და ადვოკატს სთხოვა თავად დაერეკა მასთან. დ. მ. მ. ც.-ს ტელეფონით დაუკავშირდა მოწინააღმდეგე მხარეს, გ. ჩ.-ს და შესთავაზა მოლაპარაკება, რაზედაც გ. ჩ.-მაც მზაობა გამოთქვა და შეუთანხმდა შეხვედრაზე. დ. მ. შეხვდა გ. ჩ.-ს, რაც ასევე იცოდა მ. ც.-მ, რათა მისთვის შეხვედრის შედეგი ეცნობებინა. შეხვედრისას გ. ჩ.-მ აუხსნა ადვოკატს, რომ მ. ც.-მ ის რამოდენიმეჯერ მოატყუა და თუ ადვოკატი შუამავლის როლს იკისრებდა, ის თანახმა იყო მ. ც.-სთან შეთანხმებაზე. მ. ც.-ს მოწინააღმდეგე მხარეებმა, გ. ჩ.-მ და გ. ლ.-მ ადვოკატს გადასცეს ხელშეკრულება და უთხრეს, რომ თუ მ. ც. ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებდა, ისინი თანახმა იყვნენ ხელშეკრულება გაეფორმებინათ მასთან. ხელშეკრულების პირობით გ. ჩ. და გ. ლ. უფლებას აძლევდნენ მ. ც.-ს მათ საკუთრებაში არსებული მანქანა ჩაედო ლომბარდში, საიდანაც მ. ც. აღებულ თანხას მოახმარდა ავტომანქანის შეკეთებას, ხოლო ნაწილს გადაუხდიდა მათ.

ადვოკატის თქმით, ეს ხელშეკრულება მ. ც.-სათვის კაბალური იყო და მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში, ის ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რაც რამოდენიმეჯერ აუხსნა კიდეც მ. ც.-ს. თუმცა, მ. ც. აღნიშნულ პირობებს მაინც დასთანხმდა.

3.3 ადვოკატმა უარყო საჩივრის ავტორის მითითებული გარემოება, სანოტარო ორგანოში მისვლასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ისნის მიმდებარე ტერიტორიიდან გ. ლ.-მ მანქანით წაიყვანა მ. ც., დ. მ. და მიხეილ შიოშვილი. სანოტარო ორგანოში, ნოტარიუსმა ხელშეკრულების ტექსტი აკრიფა და ორჯერ წაუკითხა მ. ც.-ს. სანოტარო ორგანოს აივანზე, ადვოკატმა კიდევ ერთხელ აუხსნა ხელშეკრულების შედეგები მ. ც.-ს და უთხრა, რომ დრო ჰქონდა ხელშეკრულებაზე ხელი არ მოეწერა.

3.4 ადვოკატის განმარტებით, ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემდეგ, გ. ჩ.-მ შეიტანა სარჩელი ხაშურის რაიონულ სასამართლოში. ადვოკატმა კლიენტს შესთავაზა, რომ შეეტანათ შეგებებული სარჩელი, სადაც თავის მოთხოვნებს დააყენებდნენ. ამასთან, განუმარტა, რომ მის შესატანად აუცილებელი იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდა 700 (შვიდასი) ლარამდე. მ. ც.-მ უარი განაცხადა შეგებებული სარჩელის შეტანაზე.

3.5 გ. ჩ.-ს, გ. ლ.-სა და მ. ც.-ს შორის დავა დასრულდა მოსარჩელეთა სასარგებლოდ. დ. მ.-მ განუმარტა მ. ც.-ს, რომ მას დროის მოგების მიზნით შეეძლო გადაწყვეტილების გასაჩივრება, თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ამასთან, განუმარტა, რომ ის იყო სისხლის სამართლის სპეციალისტი, ვერ შეძლებდა წარმომადგენლობას და მოეძებნა სამოქალაქო სპეციალიზაციის ადვოკატი.

3.6 ზემოთ აღნიშნული დავის მიმდინარეობის პერიოდში, მ. ც.-ს წინააღმდეგ სარჩელი ჰქონდა შეტანილი მ. ც.-ს მიერ დაქირავებულ მძღოლს - გ. ც.-ს, რომელიც მუშაობდა გ. ლ.-ს და გ. ჩ.-ს კუთვნილ მანქანაზე და ითხოვდა ნამუშავარი დროის მიხედვით თანხის ანაზღაურებას. აღნიშნულ დავაშიც მ. ც.-ს წარმომადგენლი იყო დ. მ.. დავა დასრულდა მორიგებით.

3.7 ადვოკატის განცხადებით, მხარეს ჰონორარის სახით არაფერი გადაუხდია, პირიქით, რაიონულ სასამართლოში პროცესებზე გამოსვლის ხარჯებს თავად ფარავდა. განხილვის სხდომის მიმდინარეობისას, ადვოკატმა განმარტა, რომ მ. ც.-ს დ. მ.-ს კუთვნილ ბარათზე რამოდენიმეჯერ აქვს ჩარიცხული 7-8 ლარი, რადგან ის ცხოვრობს საგარეჯოში და ჩასულიყო ხაშურში მიმდინარე საქმის წარმოების მიზნით.

3.8 ადვოკატმა 2018 წლის 17 დეკემბერს განხილვის სხდომაზე  განმარტა, რომ სატელეფონო საუბარში ის და მ. ც. ხშირად მიმართავდნენ ერთმანეთს შეურაცხმყოფელი სიტყვებით, მათ შორის გინებით დედის მისამართით.

**4. მოწმის მ. შ.-ს ახსნა-განმარტება:**

2018 წლის 17 დეკემბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე მოწმე მ. შ.-მ განმარტა, რომ ის არის დ. მ.-ს მეგობარი. მოწმის განმარტებით, დ. მ.-სთან ერთად ისნის ტერიტორიაზე შეხვდა მ. ც.-ს, ისინი ელოდებოდნენ მანქანის მოსვლას და საუბრობდნენ ნოტარიუსთან წასვლის შესახებ. დ. მ.-მ მ. ც.-ს ჰკითხა მიიღო თუ არა გადაწყვეტილება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით,

რაზედაც მ. ც.-მ უპასუხა, რომ მას სხვა გზა არ ჰქონდა. მალევე მოვიდა მანქანა, რომელშიც იყვნენ ქალი და კაცი. აღნიშნულ მანქანაში ჩასხდენენ მ. ც., დ. მ., მ. შ. და წავიდნენ სანოტარო ბიუროში. დ. მ. და მ. ც. გზაშიც საუბრობდნენ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ხოლო მ. ც. ხშირად იმეორებდა, რომ მას სხვა გზა არ ჰქონდა. ნოტარიუსთან მისვლისას მათ ელოდებოდა პიროვნება, რომელსაც სანოტარო ორგანოში რიგი ჰქონდა დაკავებული. მალევე მოწმე, მ. ც.-სთან და დ. მ.-სთან ერთად გავიდა აივანზე, სადაც მ. ც. ეუბნებოდა დ. მ.-ს, რომ სამუშაო გამოუჩნდა და შეძლებდა თანხის გადახდას. ამის შემდეგ, მ. ც. და დ. მ. შევიდნენ ნოტარიუსთან.

**5. მოწმე ნ. ც.-ს ახსნა-განმარტება:**

5.1. 2018 წლის 17 დეკემბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე მოწმე ნ. ც.-მ განმარტა, რომ ის არის დ. მ.-ს მეუღლე, ხოლო მ. ც. არის მისი ბიძაშვილი. მოწმის განმარტებით, მან დ. მ.-ს სთხოვა მ. ც.-ს დახმარება.

5.2. მოწმის განმარტებით, ივნისის თვეში, მ. ც. ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოლაპარაკების მიზნით მივიდა მათ სახლში, რა დროსაც ნ. ც. სამსახურში იმყოფებოდა. საღამოს, როდესაც მოწმე დაბრუნდა სახლში შეეკითხა მ. ც.-ს, მისი საქმე ისე თუ გამოდიოდა, როგორც მას სურდა, რაზედაც მან უპასუხა - „სხვა არაფერი არ გამოდის“.

5.3. მოწმემ ასევე განმარტა, რომ ის არ ფლობს ინფორმაციას მ. ც.-ს  სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ.

**6. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია**

6.1. 2018 წლის 16 ივლისს, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ დ. მ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

6.2. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა დ. მ.-მ საჩივრის ავტორს არ მისცა მისი ინტერესებიდან გამომდინარე რჩევა, ასევე კლიენტის მიერ მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას არ განუმარტა კლიენტს თანმდევი სამართლებრივი შედეგები მისთვის გასაგები ფორმით, შესაძლოა დარღვეული იყოს კვალიფიციურობის, კეთილსინდისიერებისა და კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 5(ა), 6.2; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 8.5, 8.6).

6.3. საპროცესო კოლეგიამ ასევე მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ, საქმის წარმოების განხილვის ეტაპზე დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა დ. მ.-მ, გარკვეული სარგებლის მიღების მოტივით, კლიენტის ინტერესების დაცვის დროს, კლიენტის ინტერესებზე მაღლა დააყენა მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები და აგრეთვე ადვოკატი ემუქრებოდა მ. ც.-ს, შესაძლოა დარღვეული იყოს ნდობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 3, 5).

## II სამოტივაციო ნაწილი

## 7. საქმის ფაქტები:

7.1. განხილვის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდაოა მხარეთა შორის:

7.1.1. საჩივრის ავტორი, მ. ც. მის წინააღმდეგ დაწყებულ სამოქალაქო დავაში დახმარების მიზნით დაუკავშირდა ადვოკატ დ. მ.-ს, რომელიც იყო მისი ბიძაშვილის მეუღლე - გაუფორმა მინდობილობა და გააცნო საქმის დეტალები.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

მხარეთა ახსნა-განმარტება;

2016 წლის 17 ნოემბერს გაფორმებული რწმუნებულება (ს.ფ. 76).

მოწმე ნ. ც.-ს ახსნა-განმარტება (პ. 5.1)

7.1.2. ადვოკატი დ. მ. არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებასს:*

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ვებ. გვერდზე www.gba.ge გადაწყვეტილების მიღების დროისთვის გამოქვეყნებული ადვოკატთა ერთიანი სია.

7.1.3. ადვოკატი დ. მ. მ. ც.-ს წარმომადგენელი იყო სასამართლოში მიმდინარე ორ სამოქალაქო საქმეზე: საქმე N2-XXX-17, დავის საგანი - უკანანო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და საქმე N2/XXX-2017, დავის საგანი - სახელფასო დავალიანების დაკისრება.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

- მხარეთა ახსნა-განმარტებები;
- შესაგებელი საქმეზე N2-XXX-17 (ს.ფ. 22-29);
- გადაწყვეტილება საქმეზე N2-XXX-17 (ს.ფ. 30-34);
- შესაგებელი საქმეზე N2/XXX-2017 (ს.ფ. 68-75);
- განჩინება საქმეზე N2/XXX-2017 (ს.ფ. 42-44)

*7.1.4.* ადვოკატ დ. მ.-სა და მ. ც.-ს შორის კომუნიკაციის დროს მხარეები ხშირად აყენებდნენ ერთმანეთს სიტყვიერ შეურაცხყოფას, მათ შორის მიმართავდნენ ერთმანეთს გინებით დედის მისამართით.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:*

- წლის 17 დეკემბერს, განხილვის სხდომაზე მიცემული მხარეთა ახსნა-განმარტება.

7.2. საქმეში სადავო გარემოებაა ადვოკატის მიერ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის შესახებ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდება, რადგან მხარეებმა ამასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია წარმოადგინეს:

- საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის სპეციალიზაციის თაობაზე ინფორმაცია მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც ეთიკის კომისიაში საჩივართან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებაში მიუთითა.

- ადვოკატის განმარტებით, მან აცნობა საჩივრის ავტორს მისი სპეციალიზაციის შესახებ, ასევე უთხრა, რომ სააპელაციო სასამართლოში ვერ იქნებოდა მისი წარმომადგენელი, რადგან არ ჰქონდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია.

ადვოკატს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ მან მიაწოდა პოტენციურ კლიენტს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მას არ ჰქონდა სამართლის იმ დარგში სპეციალიზაცია, რომელშიც კლიენტს სჭირდებოდა საადვოკატო მომსახურების მიღება. საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ ადვოკატის განმარტება, რომლის მიხედვით მან ეს ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს. ამ ფაქტს უარყოფს საჩივრის ავტორი. საჩივრის ავტორს სჭირდებოდა საადვოკატო მომსახურება სამოქალაქო სამართლის დარგში, რასაც კვალიფიციურად ვერ განახორციელებლდა ის ადვოკატი, რომელსაც არ აქვს ჩაბარებული საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით. ის გარემოებაც, რომ საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში შემოიტანა საჩივარი, ადასტურებს, რომ მას მიაჩნდა, რომ დ. მ. ახორციელებდა მის საადვოკატო მომსახურებას.

შესაბამისად, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ დ. მ.-ს მიერ არ მომხდარა კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდება ადვოკატის სამოქალაქო სპეციალიზაციის არქონის თაობაზე.

*განხილვის კოლეგია ეყრდნობა მტკიცების ტვირთის განაწილების წესს და შემდეგ მტკიცებულებას:*

- საჩივრის ავტორის წერილობითი და ზეპირი ახსნა-განმარტებები.

7.3. სადაო ფაქტია, უთხრა თუ არა ადვოკატმა კლიენტს სიტყვები „გნახავენ კარგი ბიჭები“. ამ ფრაზის მნიშვნელობის განხილვამდე, საჭიროა დადგინდეს, წარმოდგენილია თუ არა ცხადი და სარწმუნო მტკიცებულება ამ ფაქტის დასადგენად.

- საჩივრის ავტორი მიუთითებს ამ ფრაზაზე თავის განმარტებაში (პარ. 1.8).

- ადვოკატი უარყოფს ამ ფრაზის წარმოთქმის ფაქტს.

ადვოკატის უარყოფა უფრო ანგარიშგასაწევია იმ პირობებში, როდესაც ის აღიარებს დედის მისამართით ორმხრივი გინების ფაქტს. მოწმე მინდია ქარელიძე საპროცესო ეტაპზე მიცემულ ჩვენებაში ადასტურებს ამ ფრაზის ადვოკატისგან წარმოთქმის ფაქტს, თუმცა რადგან მოწმის წარმოდგენა და შესაბამისად დაკითხვა არ მომხდარა განხილვის ეტაპზე, ეთიკის კომისია ვერ დაეყრდნობა მის ჩვენებას.

დებულების 33.8 მუხლის თანახმად მხარეებს უნდა მიეცეთ საშუალება შეკითხვები დაუსვან მოწმეს. ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლო სამართლიანი სასამართლოს გარანტიის ნაწილად მიიჩნევს მოწმის დაკითხვის შესაძლებლობის მიცემას იმ პირისათვის, ვის წინააღმდეგ ეს მოწმე აძლევს ჩვენებას (ჯვარედინი დაკითხვის უფლება) (მაგალითისთვის იხილეთ: Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom, 26766/05, 22228/06, 2009 &&41 და შემდეგი, S.N. v. Sweden, 34209/96, 2000, &&42 და შემდეგი). ევროსასამართლო ჯვარედინი დაკითხვის უფლების ჩამორთმევას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მიიჩნევს დასაშვებად, თუმცა არცერთ შემთხვევაში ბრალდება არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მოწმის ჩვენებას,

რომელიც არ დაკითხულა ჯვარედინი წესით (იხ. Luca v. Italy, 33354/96, 2001, &&40 და შემდეგი).

მართალია ეთიკის კომისიაში სისხლის სამართლის წესით არ მიმდინარეობს საქმის წარმოება, თუმცა სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიების დაცვის აუცილებლობა და კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენების საჭიროება დისციპლინურ საქმისწარმოებაშიც აღიარა ევროსასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში, მაგალითისთვის Compte, Van Leuven and De Meyere v.Belgium, 7238/75, 6878/75, 1981, §47. დებულების 33.2 მუხლი ითვალისწინებს, რომ ეთიკის კომისიაში განხილვის ეტაპზე საქმის განხილვა ხდება მიუკერძოებლად, შეჯიბრობითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. აღნიშნული პრინციპების დაცვა სამართლიანი სასამართლოს წინაპირობებია. ეს კი დისციპლინირების პროცესში ადვოკატისთვის კონვენციის მე-6 მუხლით დაწესებული გარანტიებით სრულად უზრუნველყოფას საჭიროებს.

საპროცესო ეტაპზე მოწმე მინდია ქარელიძეს დაკითხვას არ დასწრებია ადვოკატი. ადვოკატს არ მისცემია მოწმისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა არცერთ ეტაპზე. საჩივრის ავტორის ბრალდება ადვოკატის მიმართ, გარდა თავისი განმარტებისა, ეფუძნება მხოლოდ მოწმე მინდია ქარელიძის ჩვენებას. შესაბამისად ასეთ პირობებში მოწმის ჩვენების გათვალისწინება ეთიკის კომისიის მიერ იქნება დებულების მოთხოვნათა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დარღვევა.

შედეგად ეთიკის კომისია არ ადგენს საქმისწარმოებაში საჭირო მტკიცების სტანდარტით, რომ ადვოკატმა უთხრა კლიენტს ფრაზა „კარგი ბიჭები გნახავენ“. რადგან არ დადგინდა ამ ფრაზის წარმოთქმის ფაქტი, ეთიკის კომისია აღარ შეაფასებს ამ ფრაზას, კერძოდ, წარმოადგენს თუ არა ეს ფრაზა მუქარას.

7.4. განხილვის კოლეგიამ ასევე შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ მოწინააღმდეგე მხარესთან შესაძლო კავშირისა და მათი ინტერესების შესაბამისად მოქმედების შესახებ და განმარტა, რომ აღნიშნული ფაქტის მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს. საჩივრის ავტორს, საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე უნდა წარმოედგინა სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დარღვევასა და მოწინააღმდეგე მხარესთან უკანონო გარიგებაზე. მ. ც.-ს არ წარმოურდგენია არანაირი მტკიცებულება, რომელიც ადვოკატ დ. მ.-ს მხრიდან ამგვარ არაკეთილსინდისიერ მოქმედებას დაადასტურებდა. შესაბამისად, განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ არ დასტურდება ადვოკატ დ. მ.-ს მიერ ნდობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის დარღვევა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 3, 5).

## 8. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. მ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

## 9. სამართლებრივი შეფასება

9.1. დ. მ.-მ, როგორც სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატმა, სამოქალაქო დავებში მ. ც.-ს ინტერესების დაცვის დროს, დაარღვია შემდეგი ნორმები:

9.1.1. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა) - ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.

9.1.2. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5 - ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

9.2. ეთიკის კომისიას აქვს დადგენილი პრაქტიკა, რომლის შესაბამისად სამართლის დარგში სპეციალიზაციის ქონის გარეშე, ადვოკატის მომსახურება არ ითვლება კლიენტის კვალიფიციურ მომსახურებად:

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით და მის დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა კლიენტი სათანადოდ იყოს წარმოდგენილი და ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება. ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში, რაც ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის კვალიფიციურად განხორციელების ერთ-ერთი საფუძველია. „ეთიკის კომისია არ იხილავს, რამდენად კვალიფიციურად განახორციელა წარმომადგენლობა ადვოკატმა კონკრეტულ შემთხვევაში. განხილვის კოლეგია ითვალისწინებს თავად იმ ფაქტს, რომ ადვოკატს არ ჰქონდა შესაბამის სფეროში კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა, რაც ქმნის იმის რისკს, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმომადგენილი“(ეთიკის კომისიის 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე №017/11), ამასთანავე, „საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში ადვოკატი, რომელსაც არ აქვს მინიჭებული ლიცენზია შესაბამისი მიმართულებით, ვერ შეძლებს წარმოადგინოს საჩივრის ავტორის ინტერესები, რაც წარმოშობს სხვა ადვოკატის მოძიებისათვის და მის მიერ საქმის მომზადებისათვის დამატებითი დროისა და რესურსების ხარჯვის აუცილებლობას, რის შესახებაც კლიენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, საქმეზე №091/13).

9.3. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი დ. მ. არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე მოქმედი ადვოკატი. თუმცა, ადვოკატმა დ. მ.-მ მ. ც.-სთან შეთანხმებისა და მასთან გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე აიღო ვალდებულება, დაეცვა მისი ინტერესები სასამართლოში მიმდინარე ორ სამოქალაქო საქმეზე. რადგან ეთიკის კომისიამ ვერ დაადგინა,

რომ ადვოკატმა მიაწოდა ინფორმაცია კლიენტს სამოქალაქო სპეციალიზაციის არქონის შესახებ, მ. ც.-ს არ ჰქონდა საშუალება გაეაზრებინა მისი ინტერესების დაცვის დროს გარკვეული რისკები და საფრთხეები, რომელიც შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო ადვოკატის არასათანადო სპეციალიზაციით. შესაბამისად, დ. მ.-მ დაარღვია კვალიფიციური და კეთილსინიდისერი წარმომადგებლობის ვალდებულება.

9.4. ადვოკატ დ. მ.-მ მ. ც.-ს მიმართ წარმოთქმული შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენებით ასევე დაარღვია ადვოკატთა შესახებ კანონი 5(ა) მუხლი, რადგან კლიენტის ან ყოფილი კლიენტის გინება ვერ ჩაითვლება ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულებად.

9.5. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. თუმცა, ადვოკატი ნებისმიერი სამართალწარმოების დროს უნდა იცავდეს მაღალ პროფესიულ სტანდარტს და არ უნდა ლახავდეს კლიენტის ან სხვა პირის უფლებებს. ადვოკატის მიერ კლიენტის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფით ილახება არა მხოლოდ ამ კონკრეტული კლიენტის უფლებები, არამედ ზიანი ადგება ადვოკატის პროფესიულ ღირებულებებს და ხელი ეშლება ამ პროფესიის წარმომადგენლებისადმი საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის დამკვიდრებას. ადვოკატი ვალდებულია ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. იგი არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია მართლმსაჯულებისთვის, რომლის ნაწილსაც ადვოკატი წარმოადგენს.

9.6. „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე *R.S and Z v Switzerland*).

9.7. ეთიკის კომისიამ უდაო ფაქტად დაადგინა, ადვოკატის მიერ კლიენტის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები, რაც დაადასტურა როგორც საჩივრის ავტორმა, ასევე ადვოკატმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე. ადვოკატის განცხადებით, მ. ც.-სთან საუბრისას, ხშირი იყო ერთმანეთის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა გინების ფორმით, მათ შორის დედის მისამართით (იხ. 7.1.4. პარაგრაფი).

9.8. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატს მოეთხოვება კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტი, თუნდაც იმ შემთხვევაშიც, როდესაც კლინტის მისდამი მიმართვა შეურაცხმყოფელია. ადვოკატი ვალდებულია ნებისმიერ სიტუაციაში თავი აარიდოს იმგვარ გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის როლს მართლმსაჯულებაში და ხელს შეუშლის ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერებას.

9.9. განხილვის კოლეგიამ გაითვალისწინა მხარეთა ახსნა-განმარტებები ერთმანეთის მიმართ შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით მიმართვის თაობაზე და მიაჩნია, რომ ადვოკატის გინება კლიენტის მისამართით არღვევს ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტებს.

9.10. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

9.11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება."

9.12. ეთიკის კომისიის პრაქტიკა ადვოკატის მიერ სპეციალიზაციის დარღვევით განხორციელებულ მომსახურებასთან დაკავშირებით მოიცავს, როგორც დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენას (ეთიკის კომისიის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №035/13, ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №125/13), მაშინ როდესაც სახეზეა მხოლოდ სპეციალიზაციის დარღვევით მომსახურება, ასევე დისციპლინური სახდელის დაკისრებას (ეთიკის კომისიის 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №017/11; ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №030/11), მაშინ როდესაც სპეციალიზაციის დარღვევასთან ერთად ადვოკატის მიერ დარღვეულია სხვა ეთიკური ვალდებულებები.

9.13. მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის ფორმის განსაზღვრისას ეთიკის კომისია ითვალისწინებს, რომ ადვოკატს არ აქვს დადებული რაიმე სახის გაუქარწყლებელი სახდელი, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის. თუმცა საქმეშია ადვოკატის მიერ ჩადენილი 1-ზე მეტი დისციპლინური გადაცდომა, რომლის აღიარება და შედეგების გამოსწორებისთვის მზადყოფნა ადვოკატს არ განუცხადებია. ამ პირობებში ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი და დადგენილი დარღვევებიდან გამომდინარე, ადვოკატის მიმართ გამოყენებული იქნეს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

9.14. ეთიკის კომისიამ ადვოკატისთვის სახდელის – გაფრთხილების დაკისრებისას იხელმძღვანელა ზემოაღნიშნული გარემოებებით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავსი ტიპის დისციპლინური გადაცდომების მიმართ და პროპორციულად ჩათვალა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 35-ე, მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 35-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე ნაწილით და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №053/18 ადვოკატ დ. მ.-ს მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ დ. მ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/